№ 272
შაბათი, 16 დეკემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 272
შაბათი, 16 დეკემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**Открыта подписка на 1896 г.**
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ
## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
**(тринадцатый годъ изданія).**

Въ 1896 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической, **НО ВЪ УВЕЛИЧЕННОМЪ ФОРМАТѢ.**

ПЛАТА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ: съ пересылкою и доставкою: на годъ—**10** р., на полгода—**6**р., на три мѣсяца—**3** р. **50** к., на одинъ мѣсяцъ—**1** р. **50** к. **За границу**: на годъ—**17** р., полгода—**9** р; на 3 мѣсяца—**5** р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учителей и благотворительныхъ учрежденій **плата пониженная**: на годъ—7 р., на полгода—4 руб.

**Для годовыхъ подписчиковъ** какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **допускается разсрочка** на слѣдующихъ условіяхъ: при иодпискѣ вносится 3 р., 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка принимается въ Тифлисѣ—въ конт. газеты, Барятинск., № 8.

Лица, подписавшіяся на годовое изданіе «Новаго Обозрѣнія» 1896 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.

ქართული თეატრი.

კვირას, 17 დეკემბერს, 1895 წ.
მეექვსე გასტროლი
**ე ფ. ს. მ ე ს ხ ი ს ა.**
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ ეფ. მესხისა, კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით პირველად
ახალი პიესა

**ჭირვეული**
**ცოლის მორჯულება**
კომედია 5 მოქმედ. ვ. შექსპირისა,
თარგ. კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ., ბ-ნნი კ. ყიფიანი, კ. მესხი, გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, საფაროვი, კარბელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ოთხშაბათს, 20 დეკემბერს, დანიშნული ბენეფისი
**ვლ. ალექსი-მესხიშვილისა.**
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 36
**ღვინის დაყენება**
პროფესორის ვას. პეტრიაშვილისა
ფასი 2 მან. 50 კაპ.
ისყიდება ამხანაგობის მაღაზიაში ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

**ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ**
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოკვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

—

*** მოვაგონებთ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა“. კრება განიხილავს ისეთ საყურადღებო საგნებს, როგორიც არის: სკოლის შენობის სყიდვა და სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შეცვლის შესახებ პროექტის განხილვა.

*** გუშინ-წინ, 14 ნოემბერს, კავკასიის დაზიანებულ რკინის გზის გასასინჯად წასული კომისია უკვე დაბრუნდა ტფილისში; ჩამოვიდა აგრეთვე რკინის გზის დეპარტამენტის უმცროსი თავმჯდომარე ბ-ნი გორჩაკოვი.

*** ექსპედიცია, რომელიც გაგზავნილ იქმნა ჩინეთსა და იაპონიაში ჩაის მოშენების შესასწავლად, ამ დღეებში ჩამოვა ბათუმს.

*** „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორად დანიშნულია კიევის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი პოლკოვნიკი სევასტიანოვი.

*** ოპერეტის დასმა შესწყვიტა თვისი წარმოდგენები ტფილისში და ბაქოს მიდის. ამ რიგად ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი განთავისუფლდა და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას შეძლება აქვს უფრო ხშირად ჰმართოს ქართული წარმოდგენები.

*** ტფილისს ერთი გასართობი სანახავი კიდევ მოელის. იმ კვირაში კავკავიდამ სპარსელი ქიასიმი ჩამოიყვანს მხეცებს. ამათთვის კუკიის ხიდის კუნძულზე უკვე მზადდება ფიცრული შენობა.

საჭიროა ქალაქის გამგეობამ ამ შენობას ყურადღება მიაქციოს, რომ იგი ნამდვილი სიმაგრე იყოს მხეცთათვის, თორემ შესაძლებელია, როგორც ზოგიერთს ქალაქებში მომხდარა, მხეცი გაექცეთ და უბედურება დატრიალდეს. მით უფრო ყურადღების ღირსია ეს შენობა, რომ იგი მოიჯარადრესა აქვს ჩაბარებული ასაშენებლად.

*** „ტფ. ლის.“-ს სწერენ ქუთაისიდამ, რომ საფრანგეთიდამ ჩამოსულან ხიმიკოსი რაბინი და ღვინის მკეთებელი ბერეე, რომელთ განზრახვა აქვთ გამოიკვლიონ იმერეთისა და კახეთის ღვინის დაყენების საქმე.

*** მივაქცევთ ქალაქის გამგეობის ყურადღებას ავჭალის ქუჩას, რომელიც ღამ-ღამობით საკმაოდ კარგად არ არის განათებული და ამასთან მთლად დაოღრო-ჩოღროვებულია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდია და სწორედ გაშლილი, ღამე იქ მშვიდობიანად გავლა არ შეიძლება, რადგანაც...

## ფელეტონი

**შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა.**

(მოთხრობა იტალიელთა და აბესსინელთა ომიდამ).

(თარგმანი).

დასასრული *)

III

ლეიტენანტმა ვიტოლიმ დიდის სიამოვნებით იკისრა პარლამენტარის მოვალეობა, რადგანაც მან სრულიად არ იცოდა უფროსისა და მისის ადიუტანტის დაბალი განზრახვა, ლალატებრივი მოტყუება. იმ ორის დღის განმავლობაში, რომელიც მან აბესსინელთა შორის გაატარა, იქამდის ძლიერად შეუყვარდა კეთილშობილი მიგრანაშა, რომ ეხლა ვიტოლი სიხარულით მიისწრაფებოდა მისკენ სანახავად. როგორც ფიქრობდნენ, აბესსინელებმა მართლა ძალიან ზრდილობიანად მიიღეს იტალიელი და, როდესაც ვიტოლმა თავისი მისვლის მიზეზი აცნობა, მიგრანაშამ ერთი-კი შეჰხედა თავისს ნათლიას და მაშინვე თანხმობა განუცხადა ვიტოლს წასვლაზე.

— წავალ, წარმოსთქვა მან და მეგობრულად, სიყვარულით შეჰხედა ახალგაზდა იტალიელს ოფიცერს.

— ვიდრე შენ იქიდამ დაბრუნდებოდე, მე აქ დავრჩები, უთხრა ვიტოლმა, რომელმაც არაფერი იცოდა უფროსისა და მისის ადიუტანტის გარდაწყვეტილების შესახებ და რომელსაც არც დარჩენის ნება ჰქონდა: —მას ეს მისმა კეთილშობილურმა გულმა ჩააგონა.

— არა, კეთილო ახალგაზდავ, სთქვა რასს-აულმა:—ეგსულ მეტია. —ორივ ერთად წადით; ისეთს გულოვან მეომარს როგორიც შენა ხარ, არ შემიძლიან არ ვენდო.

ლეიტენანტმა ხელი გულთან მიიტანა.

— თავს მოვიჭრი, უთხრა ვიტოლმა, თუ შენს შვილს რამე დაუშავდება; პატიოსანს სიტყვას გაძლევთ!

და აგერ ვიტოლმა ხელი რასს-აულს გაუწოდა, რომელმაც მეგობრულად ჩამოართვა თავისს მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება ფრიად დიდი ჰქონდა რასს-აულსა და ათასგვარ ჭირ-ბოროტში იყო გამოვლილი, ამ ჟამად სრულიად მოჰხიბლა იგი იტალიელის კეთილმა, სათნოიანმა სახემ და ცუდს არას მოელოდა...

— მერწმუნე, გულოვანო და სახელ-განთქმულო მეომარო, არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი სიკეთე და მთელს ჩემს სიცოცხლეში მეხსომება იგი.

— მწოლიარეთ აბესსინელნი მისს დღეში არ სცემენ! ამაყად შეჰნიშნა უფროსმა. წადით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!..

ახალგაზდა მეომარნი წავიდნენ.

გზად ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ. აბესსინელი მეომარი ძალიან ცუდად ლაპარაკობდა იტალიანურად, ხოლო ვიტოლმა სრულიად არ იცოდა აბესსინური. რასს-აული ევროპაში რამდენჯერმე იყო და ამიტომ საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა იტალიანურს ენაზე. ხოლო უკანასკნელად რომ წავიდა და მთელი სამი თთვე დარჩა იქ, მაშინ-კი თავისი ნათლული მიგრანაშაც თან წაიყვანა.

— ხომ თქვენც მოგწყინდათ ეს მუსრის გამვლები ომი, ჰა, ჩაეკითხა ლეიტენანტი რამდენიმე ვერსი რომ გაიარეს.

— რასაკვირველია, უპასუხა აბესსინელმა.—მაგრამ ვინ არის დამნაშავე? თქვენ გსურთ მასსოვა წაგვართვათ, როდესაც იგი ჩვენთვისაც საჭიროა...

ვიტოლმა ენაზე იკბინა და საშინლად უკმაყოფილო დარჩა თავისის თავისა, რომ ასეთი სულელური კითხვა მისცა. ამიტომ მთელს გზაზე ხმა აღარ ამოუღია.

ბოლოს აგერ იტალიელთა ბანაკშიაც მივიდნენ; ამაყად ღ დიდებულის გამომეტყველებით შევიდა მიგრანაშა კარავში და თავისი ადგილი დაიჭირა. იტალიელთა უფროსი როგორღაც მეტად თავს იმცირებდა, თითქოს აბესსინელს ეფერებოდა. გენერლის ხარისხი მიბოძეო...

„ჰმ, ჩემი ბედი ხომ აი ამ შავ-კანაზეა დამოკიდებულიო, ჰფიქრობდა პოლკოვნიკი. იმან რომ მოინდომოს, საქმე ნახევარ საათში გათავდება“. და აგერ იგი შესანიშნავის სიფრთხილით იწყებს საქმეს და დაწვრილებით უხსნის გარემოებას აბესსინელს. ყურადღებით მოუსმინა მიგრანაშამ იტალიელს სარდალს ლაპარაკი, ბოლოს დაცინვით გაიღიმა და უთხრა:

— ყველა ამის შესახებ, რაც ამ ჟამად გავიგონე, მხოლოდ ერთის პასუხის მოცემა შემიძლიან, რომ ჩვენი უფროსი რასს აული არას გზით არ დაგთანხმდებათ ამაზე; მე ღრმად დარწმუნებული ვარ. მასსოვას დაპყრობა მხოლოდ ბრძოლით შეგიძლიანთ, უიმისოდ ჩვენ მას არ დაგითმობთ. მე წინადვე გეუბნებით იმას, რა პასუხსაც ჩვენის წინამძღოლისაგან მიიღებთ. ხოლო რაც შეეხება ნეგუსს იოანეს, იმას ხომ ამის შესახებ თქმაც ვერავინ გაუბედავს: თქვენის სახელის გაგონება არ შეუძლიან,—საშინლად სძულხართ მასაო,—დაღვრემილად დაათავა ლაპარაკი, თითქოს უნდა აცნობოს, რომ მაც სრულიად ვეთანხმები ჩემს მეფესაო.

პოლკოვნიკმა დაცინვით აათვალიერა ეს შავ-კანა კაცი, მხრები შეიშმუშნა და სთქვა:

— ძალიან ვსწუხარ! მაგრამ მოვალე ვარ გაცნობოთ და ბოდიშსაც ვიხდი წინადვე, რომ, მაშ თუ აგრეა, თქვენ აქედამ ველარ წახვალთ, ტყვეთ დარჩებით.

აბესსინელი თოფ-ნაკრავივით ფეხზე წამოვარდა.

— როგორ! ტყვეთ!!.. მე ვარ ტყვე! შეჰყვირა განცვიფრებულმა და ამ მოულოდნელის ამბით სულის სიღრმემდის შერყეულმა; მაშ იტალიელს ოფიცრებს პატიოსანი სიტყვა არა ჰქონიათ.

პოლკოვნიკმა მხრები ხელახლად შეიშმუშნა.

— როდესაც-კი სახელმწიფოს ინტერესებია ჩარეული საქმეში—მძიმედ და რიხიანად წარმოსთქვა პოლკოვნიკმა, მაშინ პატიოსანს სიტყვას ადგილი არა აქვს: ეს სამხედრო ეშმაკობაა; ომი-კი არასოდეს არ ჰკიცხავს ასეთს საქციელს.

შავი აბესსინელი სიბრაზისაგან მთლად გამიწისფრდა.

— კარგი, წაიბუტბუტა მღელვარებისაგან აკანკალებულის ხმით—მე, რასაკვირველია, თქვენ ხელთა ვარ, მაგრამ ამ წამიდამ... მეცოდინება... რომ თქვენ ყველანი უპატიოსნო ხალხი ხართ...

იტალიელი უფროსი საშინლად აენთო და მაშინვე უბრძანა დაეტყვევებინათ.

აბესინელი მაშინვე წაიყვანეს და ერთს დიდ კარავში დამწყვდიეს; კარავს დარაჯი დაუყენეს.

პოლკოვნიკი ხელებს ისრესდა.

*) იხ. „ივერია“ № 271.

დგანაც ფარნების რიცხვი ძალიან მცირეა და სინათლე ყველგან ვერა სწვდება.

*** „ნოვ. ვრემია“-ს გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება სახაზინო პალატების (Казенныя палаты) უკეთესად მოწყობას, სახელდობრ, შტატების გადიდებას და აგრეთვე ჯამაგირების მომატებას სახაზინო პალატაში მოსამსახურე მოხელეთათვის.

*** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობამ დასტამბა ბ-ნ სილოვან ხუნდაძის მიერ ნათარგმნი თ. ბარათაშვილის ისტორიის პირველი რვეული და გარდაეცა ყველა წიგნის მაღაზიებს გასასყიდად. იბეჭდება და მალე დაურიგდება გასასყიდად წიგნის მაღაზიებს მეორე რვეული ამავე ისტორიისა.

*** ოფიციალურ ცნობებიდამ სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიის ბევრს სოფელში ყვავილი მძვინვარებს.

*** ს. დიდ-ლილოდამ გვატყობინებენ, რომ იქ 10 დეკემბერს ღამე სახლში დასხმიან თავს სანდრო ცხოვრებაშვილს ვიღაცა ბოროტ-განმზრახველნი და გაძარცვა სდომებიათ. ავაზაკებს ჰგონებიათ შინ სანდროს მეტი არავინ იქნებაო, მაგრამ რა-კი უნახავთ რომ შინ ისი ბიძაც ყოფილა, უკანვე გადამხტარან გადმომტვრეულ ფანჯრიდამ და თან წაუღიათ ახალუხი, რომელშიაც სანდრო ცხოვრებაშვილს 9 თუმანი ფული ჰქონია. სანდრო ცხოვრებაშვილზე, როდესაც ამ უკანასკნელს უყვირნია, ხანჯალიც ამოუღიათ. შემდეგ ავაზაკნი გაძდგარან განზე და მთელის საათის განმავლობაში ქვას თურმე ესროდნენ სახლს,—ჩაუმტვრიეს ფანჯრები, კარები და სხვანი. ქვის სროლის დროს სანდრო ცხოვრებაშვილის მოხუცებულ ნათესავ დედაკაცისთვის მკლავი გაუტეხიათ ქვით.

*** სოფ. ასკანიდამ გვწერენ: აქაურ ორ-კლასიან სასწავლებლის დარბაზში გამართულ იქმნა 21 ნოემბერს სალიტერატურო საღამო, რომელზედაც მასწავლებლებმა დამსწრე საზოგადოებას წაუკითხეს თავ. რაფ. ერისთვის მოღვაწეობის შესახებ რეფერატი, მოწაფეებმა წაიკითხეს რაფიელის ლექსები, წაკითხულ იქმნა აგრეთვე ადგილები ეგ. ნინოშვილის მოთხრობებიდამ და სხვა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს და ვისურვებთ, რომ სხვა სოფლებსაც წაებაძოთ ასკანისათვის ამგვარს სასარგებლო საქმეში.

*** ასკანიდამვე გვწერენ, რომ მამასახლისის წინადადებით იქ განუზრახავთ სასოფლო ბანკის დაარსება.

## კორესპონდენცია.

**პეტერბურგი.** 29 ნოემბერს საღამოს ბ. ველიჩკოს ჰქონდა პატიჟობა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ პეტერბურგში მყოფნი ქართველი სტუდენტები, როგორც უნივერსიტეტისა, აგრეთვე სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლისა, ცნობილი ფილოსოფოსი ვლ. სოლოვიოვი, სლავიანოფილი პროფ. ლამანსკი, პროფ. ცაგარელი, დავ. ზაქ. სარაჯევი, ბ. ლებედევი (თანამოძმე ველიჩკოსი კალმით) და მოსკოვის საიმპერატორო დრამატიული თეატრის არტისტი თავ. სუმბათაშვილი (ფსევდ. იუჟინი), რუსეთში პირველი მოთამაშე შექსპირის ტრაგედიებისა. სულ სტუდენტები იქნებოდა ოცდა-ათამდე.

დერეფნიდამ პირ-და-პირ შედიხართ დიდ ოთახში, რომლის ოთხივე კედლები სულ ერთიანად მორთულია ურიცხვი სურათებით. ყველაზე პირველად ხედავთ მაღლად ჩამოკიდულს დიდ სურათს თამარ მეფისას, ამას მოჰყვება ევროპისა და რუსეთის მწერლების სურათები; მიიბრუნებთ პირს თუ არა, დაინახავთ ჩვენ საყვარელ მწერლების სურათებსაც. ამ ოთახიდამ სტუმრები შევიდნენ პატარა ოთახში, სადაც ვახშმობამდის ვბაასობდით. ბაასი პროფ. ლამანსკიმ დაიწყო შენიშვნით: კავკასიის ხალხებს ჩვენ, რუსები, კარგად ვერ ვიცნობთო; საჭიროა კავკასიის ეტნოგრაფიის შესწავლაო; ამ საქმეში შეუძლიანთ და კიდევაც უნდა დაგვეხმარონ მკვიდრნი კავკასიისაო. იმათ უნდა მოაგროვონ მასალაო; ეს მათთვის შედარებით ადვილი საქმეა, რადგანაც ადგილობრივი ენები იციანო და სხვა. შემდეგ ბაასობა გამოიწვიეს უკანასკნელმა წერილებმა რუსულ გაზეთებისა კავკასიის შესახებ. ქართველმა სტუდენტებმა, რამდენადაც შეეძლოთ, გამოარკვიეს ეხლანდელი მდგომარეობა კავკასიისა, განსაკუთრებით საქართველოსი. სტუდენტები შეეხნენ მიწათ-მფლობელობას, ეკონომიურ მდგომარეობას, სისხლის სამართალს, სკოლას (ლევიცკის მეტოდსაც), თავად-აზნაურობისა დ გლეხობის ერთი-მეორესთან განწყობილებას და სხვა მხარეებსაც ჩვენის ცხოვრებისა. ამასთანავე სტუდენტებმა გამოაცხადეს თავიანთი მწუხარება, რომ რუსის საზოგადოება ეცნობა საქართველოს სამსახურიდამ გამოსული მოხელეების უსაფუძვლო წერილებით და არა საბუთიანი და ჭეშმარიტი გამოკვლევით.

გათავდა ბაასი თუ არა, სტუდენტებმა შეადგინეს ხორო და მშვენივრად იმღერეს: კახური „მრავალ-ჟამიერ“, „დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელი“, „შავი კაკაბი“, „თამარის დროშა“ და სხ. სიმღერებს მოჰყვა თარი, რომელიც ერთმა სტუდენტთაგანმა მშვენიერად დაუკრა და დაამღერა „ბაიათი“. ბოლოს თავ. ალ. თარხან-მოურავმა (ეს ყმაწვილი კაცი სწავლობს ბარონ შტიგლიცის სამხატვრო სკოლაში მხატვრობას და ქანდაკობას) სასიამოვნოდ და მშვენივრად დაუკრა სალამურზე: „აღმართ, აღმართ“ (ეს სალამური ყოფილა საკუთრება ბატონიშვილის ალექსანდრესი). სიმღერებმა, თარზე და სალამურზე დაკვრამ დიდი მხიარულობა გამოიწვია. ბბ. ვლ. სოლოვიოვმა და პროფ. ლამანსკიმ ყოველისფერი დაწვრილებით გამოგვკითხეს და აგვახსნევინეს—მოტივები თუ საკრავი ნამდვილი ქართულია, თუ სხვა ხალხისაო და სხ. და სხ.

ვახშმის დროს ექსპრომტებს და სიტყვებს რიცხვი არა ჰქონდა. თამადამ, ბ. ველიჩკომ, (ანუ როგორც თითონ ამბობს, ველიჩკიძემ) პირველი სადღეგრძელო დალია რუსეთისა და საქართველოს წარმატებისა. სადღეგრძელოებს მოჰყვებოდა ხოლმე სიმღერები, მრავალ-ჟამიერ და ლეკური დოლზე. ველიჩკომ წაიკითხა ახლად გადათარგმნილი ლექსი ილ. ჭავჭავაძისა „გუთნის-დედა“ (Пахарь) და ადღეგრძელა ჩვენი ეხლანდელი მწერლები. ამაზე სტუდ. კოსტ. მაყაშვილმა უთხრა ველიჩკოს ლექსი რუსულად:

„На нашемъ грустномъ небосклонѣ
Звѣздой ты чудной заблисталъ;
Ты первый русскимъ въ мощномъ словѣ
Колхидцевъ истыхъ указалъ“ და სხვა.

შემდეგ თავ. სუმბათაშვილმა (იუჟინმა) გასაოცრად კარგად წაიკითხა ველიჩკოს თარგმანებიდამ „გავსწორდეთ ბედო“ ილ. ჭავჭავაძისა, „Царь Вахтангъ“ და ღრმად გაგვაგებინა ამ ლექსების დედა-აზრი. თავ. სუმბათაშვილზედ „საღამომ“ ძლიერ იმოქმედა; ერთ სადღეგრძელოს შემდეგ წამოდგა და სთქვა: დღევანდელმა საღამომ ამაღელვა მე და ამისათვის არ შემიძლიან სრულად გარდმოგცეთ, რასაც მე ვფიქრობ და ნამეტნავად ვგრძნობ. ჩვიდმეტი წელიწადია, რაც მე პეტერბურგის უნივერსიტეტი დავსტოვე და ამ ცოტა ხნის განმავლობაში, ვხედავ, დიდი ნაბიჯი გადუდგამს ჩვენს ქვეყანას წინ. ჩემის სტუდენტობის დროს საქართველოზე რუსებთაგანი თითქმის არავინ ჰფიქრობდა; ეხლა-კი ქართველები იმდენად ეცადნენ, რომ რუსებს ყურადღება მიაქცევინეს ჩვენს ლიტერატურაზე. გამოჩნდნენ პირები, რომელნიც თარგმნით ქართულიდამ აცნობენ რუსის საზოგადოებას ჩვენს ცხოვრებას; მეცნიერები ქართველებიც თან-და-თან გვემატება; მუსიკაც წინ წასულა; ჩემს დროს მხოლოდ ერთი მოტივი ვიცოდით, დღეს-კი აქ სულ სხვა-და-სხვა ნაირ მოტივებზე მღერიან; არტისტებიც ეხლა ქართულს სცენაზე ნიჭიერნი გვყავნან. სხვა მხრითაც ქართველებმა იჩინეს თავი. მაგრამ მე არ შემიძლიან გარდმოგცეთ ყოველივე, რადგანაც მთლად გრძნობებით ვარ გატაცებული... თქვენ მიხვდებით მე რაც მინდა ვსთქვა... ამ სიტყვებთან თვალები ცრემლით აევსო ორატორს.

კარგი შთაბეჭდილება იქონია ბბ. ვლ. სოლოვიოვზედ და პროფ. ლამანსკზე სტუდენტების ბაასმა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ეს მტკიცდება, სხვათა შორის მით, რომ პროფ. ლამანსკიმ გამოაცხადა სურვილი გაისად საქართველოში წამოსვლისა და ვლ. სოლოვიოვმაც-კი გვითხრა: ფაქტიური მასალა შეჰკრიბეთო, პირველ იანვრიდამ პეტერბურგში ახალი გაზეთი გამოვაო დ იმაში დავაბეჭდვინებო. ამ დაპირებით ქართველებმა უსათუოდ უნდა ვისარგებლოთ.

საჭიროა ჩვენ თვითონვე, როგორც პროფ. ლამანსკიმა სთქვა, გავაცნოთ ქვეყანას ჩვენი თავი. ამისთვის უმ...

---

„ვნახოთ შემდეგში რა იქნება“, ჩურჩულებდა თავისთვის და წინ და უკან გადი-გამოდიოდა თავისს ოთახში. გენერლის ხარისხი ეხლა-კი თითქმის ხელთ ჰქონდა.

## IV

საღამო ხანი იყო. პოლკოვნიკს ის იყო გაეღვიძნა და ჩვეულებისამებრ ისვეხეიდა; პირი დაიბანა და ის იყო გარეთ აპირებდა სასეირნოდ გამოსვლას, რომ ამ დროს ძასთან შევიდა ძთლად გადაფითრებული ვიტოლი; ვიტოლი კარებთან შესდგა.

— ეს რა ჰქქენით, ბ-ნო პოლკოვნიკო? ჩაილუღლუღა ვიტოლმა.— თქვენ დაგიტყვევებიათ პარლამენტარი... რა უნდა დაერქვას ამას?

— ეს ის არის, რომ თქვენ სხვის საქმეში არასოდეს არ ჩაერიოთ, მკაცრად შენიშნა უფროსმა.—წადით თქვენს კარავში. როდესაც საჭირო იქნებით, მე თითონ მოგითხოვთ... და წასვლა დააპირა.

— არა, მოითმინეთ! შეაყენა ლეიტენანტმა.—მე იმაზე არა, ვამბობ, რომ სარდლობა თქვენი საქმეა და არც-თუ შეუძლიან ვისმე წამოდავება. ხოლო თუ საქმე თქვენს პირადს პატიოსნებას შეეხება, მე ვგონებ ეს თქვენ არ დაგეძრახებათ, რადგანაც არც პატიოსნების მოხმარება შეგიძლიანთ თქვენს ნებაზე. მიგრანაშა მოვიდა აქ მხოლოდ იმიტომ, რომ მას პატიოსანი სიტყვა მისცა ტალიის მხედრობის ოფიცერმა. თუ რომ ამ წამსვე არ განათავისუფლებთ მას, წინადვე ბოდიშს ვიხდი და გატყობინებთ, დღეის შემდგომ ამ წამიდგან თქვენის მხედრობის ოფიცრად აღარ ჩამთვალოთ. აი, ჩემი ხმალიც.

ვიტოლმა ხმალი შემოიხსნა და პოლკოვნიკის გვერდით სკამზე დასდო, მერე შემობრუნდა სამხედრო წესისამებრ და მძიმე ნაბიჯით გავიდა გარედ.

პოლკოვნიკმა მშვიდობიანად ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს,—წავიდა!— ხმამაღლა წარმოსთქვა მან.—თორემ ვინ იცის, რა ხათაბალას არ ასტეხდა... ჯერ ახალგაზდაა და იმიტომ სწუხს პატიოსნებისათვის. მერე ისიც ვისთვის? ეშმაკმა იცის მაგათი თავი!..

არც თითონ პოლკოვნიკს ჰქონდა თავისს თანაშემწესთან შედარებით უკეთესი წარმოდგენა აბესსინელებზე.

კარავში ამ დროს შევიდა ადიუტანტი, რომელმაც ამხანაგის უკანასკნელს სიტყვებს მოჰკრა ყური.

— ვიტოლის უნდა უთუოდ თვალი ვადევნოთ, წარმოსთქვა ადიუტანტმა, შევიდა თუ არი კარავში:— თორემ, ვინ იცის, მას შეუძლიან ერთი უბედურება მოახდინოს. მისი მდგომარეობა სრულიადაც არ არის შესაშური, მით უფრო, რომ ვიტოლიმ არც-კი იცის, ჩვენ რა გეგმა გვაქვს შედგენილი.

— სისულელეა! არაფერიც არ იქნება! მოიფიქრებს და დამშვიდდებაო, დამშვიდებულის კილოთი დაატანა პოლკოვნიკმა.

— მაგრამ, არა, უკაცრავად! ვიტოლს მე კარგად ვიცნობ—ეგეთი არ არის...

— ამას თავი დავანებოთ! სჯობს საქმეზე ვიფიქროთ...

ადიუტანტმა წარბები შეიჭმუხნა და ქაღალდებსა და სხვა მოხსენებებს ღრმად ჩააკვირდა.

ამასობაში კიდეც დაღამდა. ბანაკში სიჩუმე ჩამოვარდა. მიგრანაშა დაკეტილს კარავში იჯდა, გარს კარავს ჯარის-კაცნი სდარაჯობდნენ, იჯდა და ფიქრობდა თავისს მწარე ბედზე და თანაც თავისს თავს უსაყვედურებდა, რად მოვიქეცი ასე წინდაუხედავადო. იტალიელნი რას არ უზმენ; ვინ იცის კიდეც დახვრიტონ; მათგან ყველაფერს უნდა მოელოდეს, როგორც მოღალატეთაგან.

„ოჰ! რად მიენდო იტალიელს! ნუ-თუ იგი არ იცნობდა მათ, არ იცოდა, რა ცბიერნი და მოღალატენი იყვნენ...“

მიგრანაშამ უცბად თვალი გაახილა; კარვის კარში იტალიელი ოფიცერი იდგა; კარები მაშინვე დაეშვა.

— მე მოვედი, რომ დაგიხსნა, წაილაპარაკა შესვლისათანავე.—თუ ღმერთი გწამს მაპატიე, რომ ასე უპატიოსნოდ და მდაბლად მოგეპყრნენ. ეს რომ მცოდნოდა, არაფრის გულისათვის არ წამოგვიყვანდი. თვითონ მეც მომატყუეს. ადექ და ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი; ბნელა; შენ ჯარის-კაცნი გაგიშვებენ და მე-კი აქ დავრჩები. აქვე შორი-ახლოს შეკმაზული ცხენი დგას; შეჯექ და თქვენის ბანაკისაკენ გაქუსლე. დეე, მარტო მე გამოვისყიდი ჩემის ხალხის უპატიოსნობას, მხოლოდ იცოდე, რომ ყველანი ასეთები არ არიან ჩვენში!

ჩუმად და მაგრად ჩამოართვა ხელი მიგრანაშამ ამ კეთილშობილს ოფიცერს და ტანისამოსი მარდად გამოიცვალა. ღამის სიბნელეში ჯარის-კაცებმა მიგრანაშას ხმაც არ გასცეს, თავიანთი ეგონათ. რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე მიგრანაშამ მართლა ცხენი ნახა; ჩუმად შეჯდა და ბანაკიდამ გაჰქრა. შემდეგ ისევ მიჩუმდა ყველა.

სამის საათის განმავლობაში ბანაკში მკვდარი სიჩუმე ჰსუფევდა. ვიტოლმა იგრძნო, როგორ მოეშვა მძიმე ტვირთივით დაწოლილი ეს მქენჯნელი ფიქრი და მშვიდობიანად მიიძინა. კიდევ გაიარა ერთმა საათმა. შორს რაღაც საზარელი თქარა-თქური და ხმაურობა გისმა... ხმა უფრო და უფრო მოახლოვდა, თითქოს ეს არის ზვავი მოჰქრისო და უცბად გულის გამგმირავმა ყიჟინამ მოიცვა მძინარე ბანაკი იტალიელებისა. შიშით თავზარდაცემულნი იტალიელნი უშლილებივით წამოცვივდნენ ფეხზე და დაუწყეს ორთავ მხარემ ერთმანეთს კაფვა.

აქ არავინ არ ინდობდა ერთმანეთს. აბესსინელნი ლომებრ იბრძოდნენ, ხოლო იტალიელნი, ჰგრძნობდნენ-რა, რომ ეს ბრძოლა უკანასკნელი იყო და იგი გარდასწყვეტდა ყველაფერს, თავდაუნანებლად ომობდნენ.

გათენდა. ბრძოლის ველი ნათელმა მოჰფინა; დახოცილთა შორის ორი უცნაური გვამი იპოვნეს,—ერთი იყო აბესსინელი იტალიელთა ტანისამოსით, ხოლო მეორე იყო იტალიელი აბესსინელთა ტანისამოსში.

მიგრანაშა მკვდარი იყო. საბრალომ თავი დაიღუპა; უნდოდა მეგობარი დაეხსნა და მტრებისათვის მაგიერი გადაეხადნა. რასს-აულიც მძიმედ დაიჭრა და ძლივს-ღა მიაღწია ბანაკამდის; იგი რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა; აბესსინელთ მწარედ იგლოვეს საყვარელი სარდლის სიკვდილი.

დასრულდა ომი. პოლკოვნიკმა სევირინიმ სანატრელი გენერლობა მიიღო და 1888 წელს მასსოვა იტალიის სრულ საკუთრებათ იქმნა აღიარებული.

მხოლოდ ადიუტანტი დარჩა წყალგაღმა. ვიტოლის დანიშნულმა, შეიტყო-რა საქმროს სიკვდილი, ეს ცხოვრება აღარ ინდომა და მონოზნათ შესდგა.

ინ-ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობესი იქნება ან პეტერბურგში ან მოსკოვში გავიჩინოთ გაზეთი, რომლის დანიშნულებაც იქმნება—გააცნოს რუსის საზოგადოებას საქართველო და საზოგადოდ კავკასია. შეიძლება ეს ძნელი საქმე იყოს, მაგრამ სიძნელე იმას არ ნიშნავს, რომ ეს საჭირო არ იყოს. მაშინ შევიძლებთ საკადრის პასუხის გაცემასაც და ამასთანავე ვერც რუსული პრესა გაჰბედავს სიცრუვე და ჭორი ილაპარაკოს ჩვენზე.

ი. ჩ.

## უცხოეთი

**იტალია.** იტალიის სამხედრო გაზეთები ამტკიცებენ, რომ ძლიერ საშიშ მდგომარეობაში არისო იტალიის საქმე აფრიკაში. აბესსინელთა ჯარის რიცხვი 90 ათას კაცამდე ადისო. შესაძლებელია, ნახევარი ამ ჯარებისა თავს დაესხმის გენერალ ბარატიერს ადიგრატში, მეორე ნახევარი-კი მასსოვას ქალაქზე მიიტანს იერიშსაო. გენერალი ბალდასერა აჩქარებს მთავრობას—მალე გავგზავნოთ მიმშველი ჯარი აფრიკაშიო.

**ისპანია.** ამას წინადაც ვწერდით, რომ არც ისპანიის საქმეა კარგად კუბის კუნძულზედა-თქო. გაზეთები ისევ ცუდს ხმებს ბეჭდვენ ხოლმე ისპანიის ბრძოლის შესახებ. ამ ჟამად ამბობენ, ვითომც კამპოსი სამსახურს თავს ანებებს და კუბაზე გუბერნატორად ვალერი ინიშნებაო.

**საბერძნეთი** და **სერბია.** საბერძნეთსა და სერბიას შუა მოლაპარაკებაა ამ ჟამად იმის შესახებ, რომ შეთანხმებით იმოქმედონ მაკედონიის საქმეში, ეცადონ, რომ მაკედონია სულთანს დარჩეს და ბულგარიის გავლენას წინააღუდგნენ.

**ოსმალეთი.** უკანასკნელს დროში ლონდონში ფიქრობენ სულთანის ტახტიდამ ჩამოგდებას. ამის შესახებ ვენიდამ ატყობინებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს: სამთა კავშირის კაბინეტებმა უარი სთქვეს ინგლისის წინადადებაზე შესახებ სულთანის ტახტიდამ ჩამოგდებისა, ხოლო განუცხადეს, რომ სულთანს დრო უნდა მივცეთ დაპირებულ რეფორმების სისრულეში მოსაყვანადაო.

**საფრანგეთი.** არ იქმნა არ მოუსვენეს საფრანგეთის პრეზიდენტს ფორს, ათასნაირ ჭორს იგონებენ მისი ოჯახობის შესახებ, თუმცა დიდი გასავალი-კი არა აქვს ამ ჭორებს.

„ლიბრ პაროლ“-ში დაუბეჭდია წერილი დელაგეს. ექვსი სვეტი გაზეთისა ამ წერილს უკავია, უწესო სიტყვებით იხსენიებს პრეზიდენტს, ემუქრება მას, მაგრამ თავისი რისხვის საფუძველს-კი ვერ გვაჩვენებს. „ანდრ ე ლუარ“-ში ლემუანის წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც მოთხრობილია, რომ ბელიუოს, პრეზიდენტის სიმამრს, 300,000 ფრანკი ვალი ემართაო და 1842 წ. 20 წლის კატორგა და 10,000 ფრანკის გადახდა მიუსაჯესო. გარდა ამისა ბელიუოს ქალს ბიძებმა 100,000 ფრანკი მისცეს მზითვადაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ყორანი ნებას აძლევს მუსლემანთა ცოლებს, თუ ქრმები ავად ეკიდებიან, თავი დაანებონ, განშორდნენ და საცა ჰნებავთ, იქ იცხოვრონ. ამ მცნებას მაჰმადისას დღესაც მისდევენ და ამის თანხმად ოსმალოთა უკმაყოფილო ცოლები თავისს საკუთარს ბინას იკეთებენ, ამ ბინაში თავს იფარვენ და მამა-კაცთ არ უშვებენ. ამისთანა ბინა გაუკეთებიათ ქრმისაგან განშორებულ ცოლებს ბულგარეთში, ათ-ხუთმეტს ვერსზე შუმლიდამ, საცა ცალკე საკუთარი სოფელი აუშენებიათ. ამ სოფელს ჰქვიან მადარა და ეხლა იქ 3,500 დედა-კაცი ჰსახლობს. პირველი, რომელიც ამ სახით გამოჰქცევია ქმარს და აქ დაუდვია ბინა, ყოფილა ნათესავი წინისწარ-მეტყველის მაჰმადისა ფატიმა. როცა ამ ფატიმას შემოსწყრომია ქმარი მისი აბუბექრი, იგი ქურდულად გასულა ბულგარეთში და შუმლის ახლო ერთს ცალკე განმარტოებულს სახლში დამდგარა. მალე სწვევიან ამ ფატიმას სხვანიც, მისებრ უბედურნი და ამ სახით გამართულა რაღაც დედათა რესპუბლიკის მზგავსი, რომლის მონაწილე დედანი თოფ-იარაღის ხმარებასაც თურმე სწავლობენ, რომ ვინიცობაა ვინმემ მტრობით შეჰმობედოსთ, მოიგერიონ. მე-XIV საუკუნეში აქ მთელი სოფელი აშენდა, სახელად მადარა და 400 სული დედა-კაცი ჰსახლობდა. როცა ბულგარეთი ოსმალომ დაიპყრა, მაშინ ფიქრი მიეცათ აქ მცხოვრებთ ამოსწყვეტენო, მაგრამ სულთანმა მაჰმედ II 1478 წ. ფირმანი გამოსცა, რომ მადარაში მცხოვრებელ დედა-კაცთა სულთნებისაგან სამუდამოდ მფარველობა ექმნებათ, თუ ისლამის ერთგულნი იქმნებიან. ამას გარდა მადარელნი დედა-კაცნი თავისუფალ არიან ყოველ ხარჯისა და ბეგარისაგან და არავინ არაფერს არ უნდა უშლიდეს, ოღონდ ყორანის წინააღმდეგ არა იმოქმედონ-რა. ეს შეღავათები შერჩენილი აქვთ დღევანდლამდე ხელუხლებლად. მადარელნი დედა-კაცები იმით ირჩევიან სხვა ოსმალთ მანდილოსანთაგან, რომ სახეს არ იმალვენ ჩადრს ქვეშ, თუმცა ყველანი მაჰმადის რჯულისანი არიან. მადარა ეხლა თავშესაფარებელი ბინაა ყოველ გაუბედურებულ მანდილოსნისათვის და ამიტომაც დღეს ამ სოფელში ჰნახავთ ყოველ წოდების დედა-კაცს ოსმალეთის ყოველ მხრიდამაო. (ნ. ვ.)

## ბიბლიოგრაფია.

„მოამბე“ № X.

ეს ნომერი „მოამბისა“ მეტად საინტერესო შინაარსიანია.

პირველი ადგილი ორიგინალურს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში უჭირავს ბ. არაგვისპირელის მოთხრობას „ქარი-კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“. ჭეშმარიტად სულითა და გულით ალტაცებული ვეგებებით მის მოთხრობებს, რადგან ჩვენი ლიტერატურის განახლებას გვიქადის.

ავტორს ამ მოთხრობაში დიდის ხელოვნებითა აქვს აღწერილი სულის მდგომარეობა ქმრისა, რომელსაც ერთად ერთ ბედნიერებადა და ნუგეშად სიცოცხლეში მიაჩნდა თავისი ცოლი ბათო და რომლის უსირცხვილო ღალატსაც ტყობილობს მისი ცხედრის წინაშე. ის გულ-გამგმირავი ტანჯვა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ამ უცნაურ უბედურებას, მშვენიერადა და დიდის სინამდვილითა აქვს ავტორს გამოხატული რამდენიმე სტრიქონში. მთელი მოთხრობა გაჟღენთილია ნაზისა, მაგრამ გულის მომწყვლელის პესსიმიზმით, რომელიც სარჩულს შეადგენს თითქმის ბ. არაგვისპირელი ყოველი მოთხრობისას. მისი ნიჭის მხატვრული ძლიერებისა და ფსიხოლოგიური თვისების მხარეები ძნელი ჩამოსათვლელია საბიბლოგრაფიო წერილში. ჩვენ აზრადა გვაქვს სულ მალე წარვუდგინოთ საზოგადოებას სრული აზრი ბ. არაგვისპირელზე.

მეტად ცოცხლად და კარგად არის დაწერილი ბ-ნის ***-ის მოთხრობა „სანდრო წკვერტიაშვილი“. სწორედ დრო იყო ლიტერატურას მიექცია ყურადღება იმ დიდად საინტერესო მოვლენაზე, რომელიც არსებობს ეხლა თითქმის ყველგან და ჩვენში კიდევ უფრო უცნაური ფერი ადევს. ჩვენ ვამბობთ მწერლობის მანიაზე. საზოგადოებამ დიდი ხანია დაუთმო დიდად საპატიო ადგილი მწერლებს და ამიტომ, რასაკვირველია, ყველას უნდა ეს საპატიო ადგილი დაიკავოს. მაგრამ ბუნება ძლიერ ძუნწია ამ შემთხვევაში და ნიჭს აძლევს მხოლოდ რჩეულთ, რომელნიც რიცხვით ძალიან ცოტანი არიან. ჩვენში ეს მანია, როგორც მოგახსენეთ, უფრო გავრცელებულია და ამას თავისი მიზეზებიცა აქვს. ქართველს ერთად-ერთი ასპარეზი დარჩენია, რომელზედაც შეუძლიან საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს. ეს გახლავთ მწერლობა. ჩვენ არა გვაქვს არც ისეთი პოლიტიკური წყობილება, როგორც ევროპაშია, სადაც მწერლობა სრულიად არ არის საჭირო, რომ დაიკმაყოფილო სურვილი საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანისა. იქ ძალიან ადვილად შეგიძლიან უკვდავება მოიპოვო ისე, რომ ლიტერატურა-მეცნიერებას სრულიად არა შესძინო-რა. ევროპა რად გნებავთ, აიღეთ რუსეთი, იქაც არიან ისეთი დაწესებულებანი, რომლის შემწეობითაც შეგიძლიან აურაცხელი სარგებლობა მოუტანო მთელს ქვეყანას. ჩვენში-კი აგრე არ არის, ჩვენ არა გვაქვს უნივერსიტეტი, ჩვენ არა გვაქვს ჩვენი სასამართლო, საერო დაწესებულებანი და სხვა მრავალი ამათი მზგავსი; ამიტომ შენიშნულია, რომ ბრალიანი და უბრალო კალამს ჰკიდებს ხელს და ისევ ისე ემართება, რაც ზემო მოხსენებულს მოთხრობაში მოხსენებულს სანდრო წკვერტიაშვილს. საწყალმა რაღაც შენიშვნა გაჰგზავნა გაზეთში. ნაცნობებმა და მეგობრებმა, რომელთაც იქნებ არც წაუკითხავთ მისი დიდებული ნაწარმოები შენიშვნა, მაგრამ რაკი მისი სახელი გაზეთში დაინახეს, რასაკვირველია, მოვალეობადა სცნეს მრავალი ქება შეესხათ. საწყალს სულ აურიეს დავთრები, აიღო კალამი ხელში და დაიწყო წერა და წერა. წერა ავადმყოფობად გარდაექცა, აღარც კითხულობდა, აღარც არაფერს აკეთებდა გარდა წერისა, მაგრამ წერის ნიჭიც ხომ ღმერთს მისთვის არ მიუმადლებია.

სამსახურში იყო და რიგიანად თავისს მოვალეობას ვეღარ ასრულებდა და სამსახურიდამაც დაითხოვეს. ეხლა მხოლოდ იმაზე ჰფიქრობს თავისი ლექსთა კრებული გამოსცეს, მაგრამ როგორც მისი ნათესავები ამბობენ უფრო ადვილია გაგიჟდესო.

ავტორი მეტად საინტერესო საგანს შეჰხებია და საკმაოდ ხეირიანადაც შეუსრულებია იგი.

გვაკვირვებს, რად უხმარია ავტორს ის ფსევდონიმი, რომელიც მეტად ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში. ამ ფსევდონიმების მანიამაც საშინლად გაიდგა ფესვი ჩვენში. ყოველ მწერალს ფსევდონიმი აქვს და არა თუ ერთი ხან და-ხან ორი-სამი და მეტი. რა არის არ გვესმის: მერწმუნეთ, ვინც იცნობს მწერალს პირადად, ისიც იცის, რა დასწერა მან, რადგან მწერალი თუმც ფსევდონიმს ხმარობს, ყოველ ნაცნობს ყოველთვის განუცხადებს, რომ ესა და ეს ფსევდონიმი ჩემიაო... რასაკვირველია ბევრი თხოვნის შემდეგ. და თუ არავინ იცნობს, მაშინ სულ ერთია ფსევდონიმს იხმარს თუ მის საკუთარს სახელს.

მეტად კარგია ლექსი ბ. ცახელისა „მხედარი.“ ამ პოეტს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ახალგაზდა პოეტთა შორის. მეტად მშვენიერი აზრი აცისკროვნებს ამ ლექსს. აღმოსავლეთის მხედარი, რომელსაც თავს ურჩევნია თავისი ბედაური და რომელსაც ისეთის ცბიერებით დასტყუებენ, თავისს ბედაურზე-კი აღარა ფიქრობს, იმაზე სწუხს, რომ ამ უსინიდისო ღალატის გამგონი ტკბილს გრძნობას სიბრალულისას თვის გულში ჩაიქრობსაო.

და ეს გრძნობა იმდენზე ძლიერია და იმ რიგად მოქმედებს ღალატით ცხენის წამრთმეველზე, რომ ისევ უბრუნებს.

სასიამოვნოდ დაგვირჩა ბ. ბადრიძის სტატიის „სულით ავადმყოფის“ წაკითხვა. სტატია ძალიან გასაგებრადა და მარტივად არის დაწერილი. სასურველია აგრეთი წერილები ხშირად იბეჭდებოდეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ამავე ნომერშია ბ. გრ. ყიფშიძის „თ. რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა“. ბევრი რამ დაიწერა ამ ხანებში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ მართალი ვსთქვათ ეს ყველაზე უფრო ვრცელი და საფუძვლიანი გარჩევაა, თუმცა ავტორი სრულიადაც არ იხსენიებს იმ დამფუძნებელთ ჩვენის ლიტერატურისას, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ არა-თუ მარტო რაფიელ ერისთავზე, არამედ მთელს ჩვენს მწერლობაზედაც. „დრომ მოიტანაო“, ეს ვერაფერი ახსნაა. დრო ბევრს რამეს მოიტანს, მაგრამ უნდა იყვნენ, ხოლმე კაცები, რომელნიც შენიშვნენ, რა მოიტანა დრომ და ამ კაცებს ყოველთვის დიადი მნიშვნელობა აქვთ ისტორიაში და ლიტერატურაში“. „ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს იფეთქა რამდენგანმე ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ და გაჩნდა რაფაელიცა, ალ. ყაზბეგიცა, ბაჩანაცა და ვაჟაცა“. კი, მაგრამ პატივცემულ ავტორს ავიწყდება, რომ ამ გრძნობის ამფეთქებელთა გვერდის ახვევა შეუძლებელია არა თუ დღეს, როცა მათი ნაწარმოების ძლიერი გავლენა თან-და-თან იზრდება, არამედ არასოდეს, სანამ ქართველი ერი ცოცხალი იქმნება. რაიცა შეეხება დანარჩენს წერილებს, ჩვენ ვერ შევეხებით ზოგთ მიტომ, რომ მეტად სპეციალური საგანია, ზოგს-კი მიტომ, რომ დათავებული არ არის.

უნდა შევნიშნოთ, რომ საჭიროა „ცეცხლითა და მახვილითა“ უფრო ბევრი იბეჭდებოდეს, რადგან მეტისმეტად გაჭიანურდა. მიუცილებელია აგრეთვე რედაქციამ რამე ნაირად პოლიტიკური მიმოხილვის განყოფილება ისევ შემოიღოს, თორემ თთვიური ჟურნალი უამისოდ შეუძლებელია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემოთ აღნიშნულ პირთა და იმათში განსაკუთრებით ექვთიმე სიმონის ძე ბერძენიშვილს, რომელმაც დიდად დაგვავალა მით, რომ ქ. ბათუმში „41“ მანეთი შეჰკრიბა და ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს წარმოუგზავნა.

სია შემომწირველთა:

ნიკოლოზ ღოღაბერიძემ 5 მანეთი, იაკობ ბასმაჯიანმა, მიხეილ გოგინოვმა, ვლადიმირ ოგიევსკიმ, ლომინაძემ და ბერძენიშვილმა და ექვთიმე ბერძენიშვილმა ორ-ორი მანეთი; ვარდის თაიხაძემ, ბახვა ასაზიანმა, ნიკო ჯოჯუამ, ექვთიმე გოგიტაურმა, გიგო ბერკაიამ, მიხეილ არაქელოვმა, მანუკ კაპრელიანცმა, ევგენი მომფორიამ, სამუელ ქადიეშვილმა, სარდიონ ქუთათელაძემ, გრიგოლ ჩიტავამ, პავლე მჭედლიშვილმა, ნ. პეტრიაშვილმა, ვ. ბებიამ, კონსტანტინე გაჩეჩილაძე?, მ. ანჯაფარიძემ, ნესტორ ჭყედლოვმა, სვანიძემ, ფ. ფილიპოვმა, ივანე ჭყონიამ, სანდრო გოცირიძემ, ალექსი სალაღაიამ, იაგორ აბესაძემ, ლომინ ჯინჭარაძემ და იაგორ იოსელიანმა თითო მანეთი.

„სამკითხველოს გამგე კირილე წილოსანი.
10 ქრისტიშობისთვეს, 1895 წ.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი ვეზირიშვილნი. საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 13 ივლისს 1793 წ. დამტკიცებულს სამღვანბეგო გარდაწყვეტილებაში ჯალათთა უფროსის თანაშემწე გიორგი ვეზირიშვილი თავადად არის წოდებული.

თავად ვეზირიშვილთა გვარეულობა მოხსენებულია საქართველოს თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატს აქვს ზედ დართული.

17 ოქტომბერს 1828 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილი არიან შტაბს-კაპიტანი გიორგი, დავითი და ივანე გიორგის ძენი ვეზირიშვილნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 6 მაისს 1847 წ., 12 ივლისს 1850 წ., 25 იანვარს 1856 წ., 25 მარტს 1862 წ., 6 სექტემბერს 1872 წ. და 10 მარტს 1886 წ., შემოუერთდნენ ამ გვარს თავადნი ვეზირიშვილნი: 1) დიმიტრი და ალექსანდრე გიორგის ძენი; 2) იოსებ ივანეს ძე და შვილი მისი სვიმონ; 3) იოსებ დავითის ძე; 4) ილია ივანეს ძე, შვილნი მისნი რევაზ და ეკატერინე და 5) დარეჯან და ივანე დავითის ასული და ძე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 13 დეკემბერს პილსბერიმ მოუგო ლასკერს. ჩიგორინისა და სტეინიცის პარტია გადაიდვა.

**ბელგრადი.** პარლამენტმა შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება სახელმწიფოს საზღვრების გამაგრებას. სავაჭრო ხელ-შეკრულობა სერბიასა და ჩერნოგორიას შორის

მიღებულია, თუმცა ხელ-შეკრულობის ვადა არ არის დანიშნული.

15 დეკემბერი.

**კონსტანტინეპოლი.** აჯანყებულ სომხთა ბანაკი ზეითუნში დაიპყრო ოსმალოს ლაშქარმა.

**სოფია.** პარლამენტში სჯა იყო იმ კრედიტის შესახებ, რომელიც დანიშნულია მთავრის სასახლის ასაგებად. კარაველოვი ბრალსა სდებდა მთავრის დაახლოებულ პირთ, რომ სახაზინო ფულებს ითვისებენ სხვა დეპუტატები-კი მართებლობას ბრალსა სდებენ, რომ იგი ფულებს ტყუილად ფლანგავსო. ბოლოს მაინც გარდასწყვიტეს კრედიტი მიეცეს დანიშნულებისამებრ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხუროვა შჩერბანინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. ჯარაშეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათმდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—59).

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში

# მამის ერთგული

მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.

ფასი 15 კ.


## ადრესები საგჯოს ექიმებისა ტფილისის სხვა-და სხვა ნაწილში.

I და II ნაწ. { გ. მ. არწრუნი, გოლოვ. პროსპ., ადამიანცის სახ. № 28. / ნ. გ. კასუმოვი, მიხეილ. ქუჩა, პირას სახლი № 118. / მ. ა. მირაქოვი, (დროებით) ჰეიდენის ქ., საკუთ. სახ. № 21.

III, IV და V ნაწ. კ. ა. გონიევი, ბაღის ქუჩა, საკუთ. სახ. № 19.

VI ნაწილ. გ. ზ. ტერ ასატუროვი, ვორონცოვის ქუჩა, ედიგაროვის სახლი № 55, სამკურნალოს სადგომი.

VII ნაწილ. გ. გ. გულულიანცი, კახეთის ქუჩა, ტერტეროვის სახლი № 26, სამკურნალოს სადგომი.

VIII და IX ნაწ. გ. ა. თარხნიშვილი, ელისაბედის ქუჩა, სახლი № 70.

X ნაწილ. გ. ა. გედაღინი, მიხეილის და კოჩუბეის ქუჩის კუთხე, ულანცევის სახლი, № 2.

ექიმი დეზინფექტორი ი. ა. რაზსამატი, სოლოლაკის ქუჩა, სუმბათაშვილის სახლი, № 1.

(3—1).


## Открыта подписка на 1896 годъ
НА ГАЗЕТУ
# „КАСПІЙ“
(XVI годъ изданія).

Въ 1896 году „Каспій“ будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

**Подписная цѣна:**

Съ пересылкой: на 12 мѣс. 8 р. 50 к., на 11 мѣс. 7 р. 50 к., на 10 мѣс. 7 р., на 9 мѣс. 6 р. 50 к., на 8 мѣс. 6 р., на 7 мѣс. 5 р. 50 к., на 6 мѣс. 5 р., на 5 мѣс. 4 р. 50 к., на 4 мѣс. 4 р., на 3 мѣс. 3 р., на 2 мѣс. 2 р. 50 к. и на 1 мѣс. 1 р. 50 коп.

**За-границу:**

На годъ . . . . 13 руб.
„ полгода . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородними подписчиками; затѣмъ 15-го февраля—2 руб. и 15-го марта—2 руб.

Иногороднiе адресуютъ свои требованія: въ Баку, редакцію газеты „КАСПІЙ“.

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспія“ 1896 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году, со дня подписки.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ „Центральной книжной торговлѣ“; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Елисаветполѣ у Г. А. Альтаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; въ Москвѣ—въ конторѣ Метцль; въ Н. Новгородѣ, въ Рождественскомъ газетномъ кіоскѣ и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинцій.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА **1896** ГОДЪ
на новую политическую общественную и литературную
ГАЗЕТУ
# „КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

**ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:**

1) Дѣйствія и распоряженія Правительства.
2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и ругимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терской области по преимуществу.
3) Хроника: мѣстныя происшествія, извѣстія внутреннія и внешнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.
4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.
5) Судебная хроника безъ обсужденія рѣшеній.
6) Фельетонъ, известія изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, разсказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержанія.
7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Подписная цѣна: съ доставкою во владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 руб., на 6 м. 4 р. на 3 м. 2 р. 50 к. на 1 м. 1 р. отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписка и объявленія принимаются у издателя **Сергѣя Іосифовича КАЗАРОВА.**

Издатель **С. КАЗАРОВЪ.** Редакторъ **А. КОЛУБЕЙКО.**

R. S. газета будетъ выходить съ Декабря мѣсяца 1895 г. и разсылаться годовымъ подписчикамъ безплатно.

**XII годъ изданія.**

Открыта подписка на 1896-й годъ
на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную газету

# „СѢВЕРНЫЙ КАВКАЗЪ“,

Выходящую ДВА раза въ недѣлю и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго газета носитъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| Безъ доставки и пересылки: | р. к. | Съ доставкой и пересылкой: | р. к. |
|---|---|---|---|
| На годъ | 4 50 | На годъ | 5 50 |
| „ полгода | 2 50 | „ полгода | 3 — |
| „ 3 мѣсяца | 1 50 | „ 3 мѣсяца | 1 75 |

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.
Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.
АДРЕСЪ: Ставрополь-Кавказскій, редакціи „Сѣвернаго Кавказа“.

Годъ XIV **1896** Годъ XIV

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ
**Открыта подписка**
НА ГАЗЕТУ
# „КАРСЪ“
**на будущій 1896 годъ.**

Газета „Карсъ“ въ 1896 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ 1895 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**
**съ доставкою и пересылкою ТРИ рубля въ годъ.**

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, въ городѣ Карсѣ, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

დამზღვევი საზოგადოება
# „იაკორი“
(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სასარგებლოდ დაზღევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, საკუთარი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—91)